

STYLISTIC DEVICES IN XXI CENTURY ENGLISH PRESIDENTIAL DISCOURSE

სტილისტური მარკერები XXI საუკუნის ინგლისურენოვან საპრეზიდენტო დისკურსში

Nino Tavidashvili

Doctor of Philology,
English Teacher of Akaki Tsereteli State University,
Kutaisi, Tamar Mepe St. 59, 4600, Georgia,
+995577952081, nino.tavidashvili@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0009-6270-3872>

Abstract. The aim of the paper is to analyze the peculiarities of the use of stylistic devices in the dominant political discourse of the last two decades, in particular, the presidential English-language discourse, which represents a strongly argumentative type of discourse. The significance of the research is determined by the growing interest of researchers in the phenomenon of political communication and its mechanisms and the importance of an in-depth study of these mechanisms.

Political discourse is a complex system of correlated linguistic and sociocultural signs aimed at influencing the audience. A specific social and cultural environment determines the choice of stylistic devices while constructing the political discourse. There is a wide variety of stylistic devices. Each of them has a special persuasive power since it synthesizes linguistic, cognitive and pragmatic competences with regard to culture, history and ideology, effectively enabling politicians to create the desired public opinion and emotional background, to influence the intelligence and will of the audience members.

By analyzing the addresses of American presidents of the aforementioned period, the main stylistic devices observed in the research material (metaphor, comparison, epithet, periphrasis, personification, hyperbole, metonymy, parallel syntactic constructions, antithesis, allusion) and the specifics of their functionality are presented. We defined the main models of stylistic devices, the frequency of use; We made their content-thematic classification and pragmatic interpretation. The wide range of stylistic markers used by the country's most successful politicians when conveying different types of political messages indicates the high oratorical art of the politicians.

Keywords: political discourse; presidential discourse; stylistic devices; stylistic analysis.

ნინო თავიდაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინგლისური ენის მასწავლებელი,
ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59, 4600, საქართველო,
+995577952081, nino.tavidashvili@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0009-6270-3872>

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია სტილისტური მარკერების გამოყენების თავისებურებათა ანალიზი ბოლო ორი ათწლეულის დომინანტურ, კერძოდ, საპრეზიდენტო ინგლისურენოვან პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც დისკურსის მკვეთრად არგუმენტაციულ ტიპს წარმოადგენს. კვლევის აქტუალობას პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენის და მისი მექანიზმების მიმართ მკვლევართა მზარდი ინტერესი და აღნიშნულ მექანიზმთა სიღრმისეულად შესწავლის მნიშვნელობა განსაზღვრავს.

პოლიტიკური დისკურსი არის რთული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნიშანთა სისტემა - მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციოკულტურული ნიშნების სინთეზი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაზე ზემოქმედებას. პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირებისას სტილისტური მარკერების არჩევანს კონკრეტული სოციოკულტურული გარემოს სპეციფიკა განსაზღვრავს. სტილისტური ხერხები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. თითოეულ მათგანს აქვს განსაკუთრებული პერსუაზიული ეფექტი, რადგან აერთიანებს ლინგვისტურ, კოგნიტურ და პრაგმატიკულ ცოდნას კულტურის, ისტორიისა და იდეოლოგიის გათვალისწინებით და მნიშვნელოვანწილად ეხმარება პოლიტიკოსს შექმნას სასურველი საზოგადოებრივი აზრი და ემოციური ფონი, გავლენა მოახდინოს აუდიტორიის წევრთა ინტელექტსა და ნებაზე.

დასახელებული პერიოდის ამერიკელ პრეზიდენტთა საპროგრამო სიტყვების გაანალიზების გზით წარმოვაჩინეთ საკვლევ კორპუსში დაფიქსირებული უმთავრესი სტილისტური მარკერები (მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, პერიფრაზი, პერსონიფიკაცია, ჰიპერბოლა, მეტონიმია, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები, ანტითეზა, ალუზია) და მათი ფუნქციონის სპეციფიკა; განვსაზღვრეთ მარკერების ძირითადი მოდელები, გამოყენების სიხშირე; მოვახდინეთ მათი შინაარსობრივ-თემატური კლასიფიკაცია და პრაგმატიკული ინტერპრეტაცია. სტილისტური მარკერების ფართო სპექტრი, რომელსაც ქვეყნის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსები მიმართავენ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური მესიჯის გასაჯაროებისას, ადრესანტების მაღალ ორატორულ ხელოვნებაზე მიუთითებს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი; საპრეზიდენტო დისკურსი; სტილისტური მარკერები; სტილისტური ანალიზი.

შესავალი. პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენის და მისი მექანიზმების მიმართ მკვლევართა მზარდი ინტერესი და მათი სიღრმისეულად შესწავლის მნიშვნელობა განსაზღვრავს კვლევების აქტუალობას აღნიშნული მიმართულებით. პოლიტიკური დისკურსი არის მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციოკულტურული ნიშნების სინთეზი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაზე ზემოქმედებას. პოლიტიკური დისკურსის კონსტრუირებისას სტილისტური მარკერების არჩევანს კონკრეტული სოციოკულტურული გარემოს სპეციფიკა განსაზღვრავს. სტილისტური ხერხები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. თითოეულ მათგანს აქვს განსაკუთრებული პერსუაზიული ეფექტი, რადგან აერთიანებს ლინგვისტურ, კოგნიტურ და პრაგმატიკულ ცოდნას კულტურის, ისტორიისა და იდეოლოგიის გათვალისწინებით და მნიშვნელოვანწილად ეხმარება პოლიტიკოსს შექმნას სასურველი საზოგადოებრივი აზრი და ემოციური ფონი, გავლენა მოახდინოს აუდიტორიის წევრთა ინტელექტსა და ნებაზე.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სტილისტური მარკერების გამოყენების თავისებურებათა ანალიზს ბოლო ორი ათწლეულის დომინანტურ, კერძოდ, საპრეზიდენტო ინგლისურენოვან პოლიტიკურ დისკურსში. საანალიზო კორპუსი მოიცავს დასახელებული პერიოდის ამერიკელ პრეზიდენტთა საპროგრამო სიტყვებს. ემპირიული მასალის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა გამორჩეულად წარმატებულ პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული ძირითადი სტილისტური ხერხები და მათი ფუნქციონის სპეციფიკა.

მეთოდი. კვლევის მიზნების შესაბამისად მივმართეთ დაკვირვებისა და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვეჩინა დომინანტურ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული სტილისტური მარკერები: მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, პერიფრაზი, პერსონიფიკაცია, ჰიპერბოლა, მეტონიმია, პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები, ანტითეზა და ალუზია; განვსაზღვრა მარკერების ძირითადი მოდელები; მოგვეხდინა მათი შინაარსობრივ-თემატური კლასიფიკაცია და პრაგმატიკული ინტერპრეტაცია.

შედეგები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაანალიზებული იქნა ათი სტილისტური მარკერი.

ემპირიული მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გამოყენების სიხშირის მაჩვენებელი მაღალი აქვს მეტაფორას, გამოიკვეთა მეტაფორის როგორც ტრადიციული, ისე კრეატიული მოდელები და რვა თემატური კატეგორია. ამასთან მოვახდინეთ საანალიზო მეტაფორული გამონათქვამების პრაგმატიკული ინტერპრეტაცია.

მეტაფორასთან ერთად გამოყენების სიხშირის საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა მხატვრული ეპითეტი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით; გაპიროვნება, რომელიც გვხვდება პერსონიფიცირებული აბსტრაქტული სახელების სახით; ასევე, ადრესატისათვის იოლად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები, მრავალფეროვანი ანტითეზები და რელიგიურ-ისტორიული ალუზიები.

გამოყენების სიხშირის ინდექსი შედარებით დაბალი აქვს შედარებას, პერიფრაზს, ჰიპერბოლასა და მეტონიმას.

მსჯელობა. პოლიტიკის სპეციფიკას, სხვა სამოქმედო სფეროებისგან განსხვავებით, აყალიბებს მისი დისკურსული ხასიათი: მრავალი პოლიტიკური მოქმედება წარმოადგენს სწორედ ენობრივ მოქმედებას (Шейгал, 2000: 17). პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტყველებისგან (კირვალიძე, 2009: 121). ზეპირმა, ან წერილობითმა ტექსტმა შეიძლება წყალი შეუყენოს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ წყობასაც კი (Lasswell, 1969: 12). ბუნებრივია, რომ ლინგვისტების მძლავრი ინტერესის საგანია იმ ენობრივი თავისებურებების და საშუალებების დადგენა, რომლებსაც მიმართავენ პოლიტიკოსები დასახული მიზნის მისაღწევად.

ემპირიული მასალის მიხედვით, ყველაზე დიდი სიხშირით გამოყენებულ სტილისტურ ხერხს წარმოადგენს **მეტაფორა**. მეტაფორის ფენომენის, როგორც კვლევის ობიექტის აქტუალობას ადასტურებს ლინგვისტურ აზროვნებაში მის მიერ განვლილი ვრცელი და საინტერესო გზა ლექსიკურ-გრამატიკული და მხატვრულ-სტილისტური დონეებიდან კოგნიტურ და პრაგმატიკულ განზომილებებამდე. დღეს მეტაფორა განიხილება, როგორც აზროვნების ფორმა - ადამიანის მიერ გარესამყაროს შემეცნების უმნიშვნელოვანესი კოგნიტური საშუალება. მეტაფორული სახეების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება ინდივიდუალური, სოციალური, ნაციონალური და გლობალური ცნობიერების შესწავლა (Арутюнова, 1990: 5-32; Шляхов, Саакян, 2015: 155). კომუნიკაციის პროცესში მეტაფორა წარმოადგენს ადრესატის ინტელექტზე, ემოციებსა და ნებაზე ზემოქმედების საშუალებას.

საკვლევ კორპუსში იდენტიფიცირებული მეტაფორების დიდი ნაწილი ტრადიციულია, შედარებით უფრო მცირე ნაწილი კი - კრეატიული. კვლევის შედეგად გამოვლენილი მეტაფორული მოდელები თემატური თვალსაზრისით რამდენიმე სფეროსთან ასოცირდება; პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით კი მეტაფორული გამონათქვამების ილოკუციური ძალა კონცენტრირდება სხვადასხვა კონცეპტუალურ არეალზე - მაშასადამე, სახეზეა ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია:

ა) თემატური კატეგორია - **სომატური** (ადამიანის სხეულთან და ფიზიკურ შეგრძნებებთან დაკავშირებული) მეტაფორები: A charter expanded by the **blood** of generations - ინტენცია: წინაპართა ღვაწლის აქცენტირება (ობამა 2009); We have confidence because freedom is the permanent hope of mankind, the **hunger** in dark places - ინტენცია: თავისუფლებისაკენ სწრაფვის აქცენტირება (ბუში 2001); America's prosperity must rest upon the broad **shoulders** of a rising middle class - ინტენცია: საშუალო ფენის როლის აქცენტირება (ობამა 2013); Rebuilding our country with American **hands** and American labor - ინტენცია: მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აქცენტირება (ტრამპი 2017);

ბ) თემატური კატეგორია - **ბუნებრივ მოვლენებთან და მიწათმოქმედებასთან ასოცირებული** მეტაფორები: America's faith in freedom and democracy was a *rock in a raging sea*. Now it is a *seed upon the wind*, taking *root* in many nations - ინტენცია: დემოკრატიული ღირებულებების სიმტკიცის აქცენტირება (ბუში 2001); Those leaders around the globe who seek to *sow* conflict or blame their society's ills on the West - ინტენცია: ოპონენტების კრიტიკა (ობამა 2009); For too long, a small group in our Nation's Capital has *reaped* the rewards of Government while the people have borne the cost - ინტენცია: ოპონენტების კრიტიკა (ტრამპი 2017); In this *winter* of our hardship, let us remember these timeless words. With hope and virtue, let us brave once more the icy *currents* and endure what *storms* may come - ინტენცია: კრიზისის აქცენტირება (ობამა 2009); Politics doesn't have to be a raging *fire* destroying everything in its path - ინტენცია: ზომიერი პოლიტიკის მიზანშეწონილობის აქცენტირება (ბაიდენი 2021); Carry into an uncertain future that precious *light* of freedom - ინტენცია: თავისუფლების მნიშვნელობის აქცენტირება (ობამა 2013);

გ) თემატური კატეგორია - **სივრცობრივ-ორიენტაციული და მოგზაურობასთან დაკავშირებული** მეტაფორები: We *carried forth* that great gift of freedom and *delivered* it safely to future generations - ინტენცია: დემოკრატიული ღირებულებების დაცვის და მომავალი თაობისთვის გადაცემის ფაქტის აქცენტირება (ობამა 2009); Together, we will *determine the course* of America and the world - ინტენცია: მსოფლიო პოლიტიკის წარმართველი ზესახელმწიფოს როლის აქცენტირება (ტრამპი 2017); Our *journey* has never been one of shortcuts or settling for less. It has not been the *path* for the fainthearted - ინტენცია: ისტორიული ქარტეხილების დაძლევის ფაქტის აქცენტირება (ობამა 2009); America will remain the *anchor* of strong alliances in every corner of the globe - ინტენცია: ქვეყნის როლის აქცენტირება საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაში (ობამა 2013);

დ) თემატური კატეგორია - **ეკონომიკის სფეროსთან ასოცირებული** მეტაფორები: No one has a greater *stake* in a peaceful world than its most powerful nation - ინტენცია: შეერთებული შტატების, როგორც გლობალური მშვიდობის გარანტის როლის აქცენტირება (ობამა 2013); And America *owes you a debt* of gratitude - ინტენცია: მადლიერების გამოხატვა მთელი ქვეყნის სახელით (ბუში 2009);

ე) თემატური კატეგორია - **აღდგენასა და აღმშენებლობასთან ასოცირებული** მეტაფორები, სადაც მეტყველი სუბიექტის ინტენციაც პროგრესის აქცენტირებაა: I will work to *build* a single nation of justice and opportunity (ბუში 2001); We will *restore* our economy to the path of growth (ბუში 2009); Today we continue a never-ending journey to *bridge* the meaning of those words with the realities of our time (ობამა 2013); We have much to do in this winter of peril and significant possibilities: much to *repair*...much to *heal*, ... much to *gain* (ბაიდენი 2021);

ვ) თემატური კატეგორია - **დამოუკიდებელ მმართველობასთან დაკავშირებული** მეტაფორები, სადაც ინტენცია დემოკრატიზმის და წარმომადგენლობითობის ღირებულებების აქცენტირებაა: The people became the *rulers* of this Nation again (ტრამპი 2017); By making every citizen an *agent* of his or her own destiny, we will give our fellow Americans greater freedom (ბუში 2005);

ზ) თემატური კატეგორია - **განსაცდელთან, გამოცდასთან ასოცირებული** მეტაფორები: America has been *tested* anew, and America has risen to the challenge - ინტენცია: ახალი კრიზისის დაძლევის ფაქტის აქცენტირება (ბაიდენი (2021);

თ) თემატური კატეგორია - **ისტორიულ ნარატივთან ასოცირებული** მეტაფორები: We have a place, all of us, in a long *story*, a story we continue but whose end we will not see (ბუში, 2001); We *will write the next great chapter* in the *history* of the United States of America: the *American story* (ბაიდენი 2021). სამივე შემთხვევაში ადრესანტის ინტენცია ისტორიული წარსულით სიამაყის აქცენტირებაა.

თავისი არსით მეტაფორასთან ყველაზე ახლოს მდგარი შედარება, როგორც სტილისტური მარკერი, შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება საპრეზიდენტო

დისკურსში. ცხადია, რომ აქ ორი საგნის შედარებისას უპირატესობა ენიჭება მეტაფორას, როგორც სასურველი ეფექტის უზრუნველსაყოფ ხერხს, რადგან ამ უკანასკნელის მეშვეობით ორ საგანს შორის მსგავსება გაცილებით უფრო მაღალი ხარისხით არის აქცენტირებული: Rusted-out factories scattered *like* tombstones across the landscape of our Nation (ტრამპი 2017); the American story, a story that might sound something *like* a song that means a lot to me (ბაიდენი 2021); America secured liberty at home and stood once again *as* a beacon to the world (ბაიდენი 2021).

საპრეზიდენტო დისკურსი საკმაოდ მდიდარია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კონოტაციის მხატვრული ეპითეტებით: *unfolding* American promise (ბუში 2001); *untamed* fire of freedom (ბუში 2001); *unshakable* faith in America (ბუში 2009); *timeless* spirit (ობამა 2013); *empty* talk, the hour of *action* (ტრამპი 2017); *hallowed* ground (ბაიდენი 2021); *unfolding* story of our great Nation (ბაიდენი 2021); *flawed and fallible* people (ბუში 2001); a *brutal* dictatorship and a *sworn* enemy of America (ბუში 2009); *raging* fires and *crippling* drought (ობამა 2013); *cascading* crises of our era (ბაიდენი 2021); *twilight* years were spent in poverty (ობამა 2013).

გვხვდება აღწერითი გამონათქვამებიც - პერიფრაზი. მაგალითად, It is a story of a *new world* that became a friend and liberator of the *old* (ბუში 2001), რომელიც შეერთებულ შტატებს (ახალ სამყაროს) დანარჩენი მსოფლიოს (ძველი სამყაროს) მეგობრად და განმათავისუფლებლად წარმოაჩენს; ან they bear the image of the *Maker of heaven and Earth* (ბუში 2001), სადაც სიტყვა „ღმერთი“ ჩანაცვლებულია პერიფრაზით - ზეცისა და დედამიწის შემოქმედი.

საპრეზიდენტო დისკურსში ხშირად მიმართავენ გაპიროვნების სტილისტურ მარკერს. როგორც წესი, პერსონიფიცირებულია აბსტრაქტული სახელები, რომლებიც შინაარსობრივად შეიძლება დავეყოს პოზიტიურ (ღირებულებები) ფენომენებად (We are bound by *ideals* that *move us* beyond our backgrounds, *lift us* above our interests, and *teach us* what it means to be citizens (ბუში 2001); This is the *belief* that *gave birth to our Nation* (ბუში 2009); *Courage triumphs* (ბუში 2001); We have lit a *fire* as well, a fire in the minds of men. It *warms* those who feel its power. It *burns* those who fight its progress. And one day this untamed fire of freedom *will reach* the darkest corners of our world (ბუში 2005); A new national *pride* will *stir our souls, lift our sights, and heal our divisions* (ტრამპი 2017); Your *voice*, your *hopes*, and your *dreams will define our American destiny*. And your *courage* and *goodness* and *love will forever guide us along the way* (ტრამპი 2017) და ნეგატიურ (არსებული მანკიერებები) ფენომენებად (*Violence* will gather and multiply in destructive power and cross the most defended borders and raise a mortal threat (ბუში 2005); There is only one force of history that can break the *reign* of hatred (ბუში 2001); And I ask every American to join me in this cause: uniting to fight the foes we face: *anger, resentment, and hatred; extremism, lawlessness, violence; disease, joblessness, and hopelessness* (ბაიდენი 2021).

მეტი გამომსახველობის მისაღწევად მიმართავენ საგნებისა და მოვლენების გაზვიადებულად, ჭარბი ფერებით ასახვასაც. თუმცა მსგავსი შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ მწირია. პოლიტიკოსები აშკარა ზომიერებას იჩენენ ჰიპერბოლას გამოყენებისას. ჰიპერბოლიზებულია, ძირითადად, პოლიტიკოსების მიერ წარმოჩენილი სამომავლო პერსპექტივები (We will *shine*—for everyone to follow (ტრამპი 2017); We will *harness the sun and the winds and the soil* to fuel our cars and run our factories (ობამა 2009), მოვალეობის პირნათლად შესრულების პირობა (I will fight for you *with every breath in my body*, and I will never, ever let you down (ტრამპი 2017) და დამსახურება სახელმწიფოს წინაშე (All the incredible people across our administration... *poured out their heart and soul* to fight for America (ტრამპი 2021)

გვხვდება მეტონიმიის მაგალითებიც: We will *extend a hand* (მზაობა მეგობრული ურთიერთობისთვის) if you are willing to *unclench your fist* (მზაობა დაზავებისთვის, შერიგებისთვის) (ობამა 2009); *Church* (ქრისტიანობა) and... *synagogue* (იუდაიზმი) and

mosque (ისლამი) lend our communities their humanity (რელიგიური ტოლერანტობის ხაზგასმა) (ბუში 2001).

მომდევნო სტილისტური მარკერი - **პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები** - მათი რამდენჯერმე გამეორების გამო ადრესატისთვის უფრო იოლად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. ამასთან, პარალელური სინტაქსურ კონსტრუქციებისთვის ნიშანდობლივია მსმენელის პათოსზე გათვლილი ემოციური ელფერი. საკვლევ კორპუსში წარმოდგენილი პარალელური კონსტრუქციების მიზანია მაქსიმალურად მკაფიოდ გამოხატოს დამსახურება სახელმწიფოს წინაშე (Together, we determined that a modern economy requires railroads and highways to speed travel and commerce, schools and colleges to train our workers. Together, we discovered that a free market only thrives when there are rules to ensure competition and fair play. Together, we resolved that a great nation must care for the vulnerable and protect its people from life's worst hazards and misfortune (ობამა 2013); Our children and our children's children will say of us: "They gave their best. They did their duty. They healed a broken land" (ბაიდენი 2021) და სამომავლო პერსპექტივები (We will defend our allies and our interests. We will show purpose without arrogance. We will meet aggression and bad faith with resolve and strength. And to all nations, we will speak for the values that gave our Nation birth (ბუში 2001); Our communities will flourish. Our people will be prosperous. Our traditions will be cherished. Our faith will be strong. And our future will be brighter than ever before (ტრამპი 2021).

ინგლისურენოვანი საპრეზიდენტო დისკურსი გამოირჩევა **ანტითეზების** განსაკუთრებული სიმრავლით. ანტითეზებით წარმოდგენილია:

1) დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზა, რომელიც განვლო ამერიკულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ (Flawed and fallible people united across the generations by grand and enduring ideals (ბუში 2001); the story of a slaveholding society that became a servant of freedom (ბუში 2001);

2) შეერთებული შტატები, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და გლობალური უსაფრთხოების დაცვის გარანტი (It is the determined choice of trust over cynicism, of community over chaos (ბუში 2001); We can right wrongs (ბაიდენი 2021); But we are also heirs to those who won the peace and not just the war; who turned sworn enemies into the surest of friends (ობამა 2013); A power that went into the world to protect but not possess, to defend but not to conquer (ბუში 2001);

3) საზოგადოების გამხნეების, შთაგონების და სამომავლო პერსპექტივების დასახვის მცდელობა (We must show courage in a time of blessing by confronting problems instead of passing them on to future generations (ბუში 2001); For we know that our patchwork heritage is a strength, not a weakness (ობამა 2009); We can do this if we open our souls instead of hardening our hearts (ბაიდენი 2021); And together, we shall write an American story of hope, not fear; of unity, not division; of light, not darkness (ბაიდენი 2021);

4) ოპონენტების კრიტიკა (For too long, a small group in our Nation's Capital has reaped the rewards of Government while the people have borne the cost (ტრამპი 2017).

საკვლევ კორპუსში იდენტიფიცირებული ბოლო სტილისტური მარკერი - რელიგიური და ისტორიული ალუზიაა:

ა) When we see that *wounded traveler on the road to Jericho*, we will not pass to the other side (ბუში 2001) - სახეზეა მინიშნება სახარებისეულ იგავზე კეთილი სამარიტელის შესახებ, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა იერიქოს გზაზე შემხვედრ, მისგან განსხვავებული აღმსარებლობის მატარებელ (იუდეველ), სხვებისაგან უგულვებელყოფილ დაჭრილ მოგზაურს. აღნიშნული ალუზიით ადრესანტი მსმენელს გულისხმიერების, სოლიდარობისა და ტოლერანტობისაკენ მოუწოდებს.

ბ) Encouraging responsibility is not a search for *scapegoats*; it is a call to conscience (ბუში 2001) - კვლავ რელიგიურ ალუზიას ვხვდებით. ამჯერად ნახსენებია ბიბლიური განტევების ვაცი, რომელსაც საზოგადოება სხვების პასუხისმგებლობას აკისრებს. ადრესანტის ღრმა

რწმენით, მოქალაქემ პასუხისმგებლობა უნდა იკისროს არა იძულებით (როგორც განტევების ვაცმა), არამედ საკუთარი სინდისის კარნახით.

გ) The American story depends not on any one of us, not on some of us, but on all of us, on “*We the People*,” (ბაიდენი 2021). ადრესანტი მიმართავს ისტორიულ ალუზიას, კერძოდ, ახსენებს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პრემამბულის პირველ სამ სიტყვას (*We the People*), რომლებიც ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს კონსტიტუციით დაკანონებულ სახალხო სუვერენიტეტს. ამ გზით ადრესანტი შეახსენებს მსმენელს, რომ უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ამერიკელ ხალხს.

დ) Through struggle, sacrifice, and setbacks, our “*better angels*” have always prevailed (ბაიდენი 2021). ალუზია ისევ ისტორიულია. პრეზიდენტი ბაიდენი მიანიშნებს ცნობილ ფრაზაზე - *better angels* - პრეზიდენტ ლინკოლნის პირველი საინაუგურაციო სიტყვიდან. პრეზიდენტმა ლინკოლნმა ამ ფრაზით გამოხატა ამერიკელი ხალხის საუკეთესო ღირებულებები. მოცემულ შემთხვევაში პრეზიდენტ ბაიდენის მიზანია ხაზგასმით მიუთითოს, რომ მძაფრი ისტორიული ქართველების ფონზე ამერიკელი ხალხი ყოველთვის იცავდა და ინარჩუნებდა აღნიშნულ ღირებულებებს.

დასკვნა. ამრიგად, ბოლო ორი ათწლეულის ინგლისურენოვან საპრეზიდენტო დისკურსში წარმოდგენილია პოლიტიკური კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების, კერძოდ, სტილისტური მარკერების ფართო სპექტრი, რომელსაც ქვეყნის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსები მიმართავენ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური მესიჯის გასაჯაროებისას. სტილისტური ხერხების მრავალფეროვნება ადრესანტების მაღალ ორატორულ ხელოვნებაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კირვალიძე, ნ. (2009). პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები. *ინტელექტი*. #3 (35). 121-125.

Арутюнова, Н. Д. (1990). Метафора и дискурс. *Теория метафоры*. 5-32. Москва: Прогресс.

Шляхов, В. И., Саакян, Л. Н. (2015). *Текст в коммуникативном пространстве*. Москва.

Шейгал, Е. И. (2000). *Семиотика политического дискурса*. Москва.

Lasswell, H. D. (1969). *Political Communication: Public Language of Political Elites in India and the US*. New York.

The American Presidency Project. Retrieved from <https://www.presidency.ucsb.edu/documents> (01.10.2023).

REFERENCES:

k'irvalidze, n. (2009). p'olit'ik'uri disk'ursi da k'ognit'uri met'aporebi [Political discourse and cognitive metaphors]. *int'elekt'i [Intellect]*. #3 (35). 121-125.

Arutjunova, N. D. (1990). Metafora i diskurs [Metaphor and discourse]. *Teorija metafory [Theory of Metaphor]*. 5-32. Moscow: Progress.

Shljahov, V. I., Saakjan, L. N. (2015). *Tekst v kommunikativnom prostranstve [The Text in the communicative dimension]*. Moscow.

Shejgal, E. I. (2000). *Semiotika politicheskogo diskursa [Semiotics of the political discourse]*. Moscow.

Lasswell, H. D. (1969). *Political Communication: Public Language of Political Elites in India and the US*. New York.

The American Presidency Project. Retrieved from <https://www.presidency.ucsb.edu/documents> (01.10.2023).